

«დროების» რედაქცია—სიმონსონის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
სელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисъ, въ редакцію «Дრობის»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 გ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 გ., 8 თვით—7 მ. 50 გ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 გ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საქირება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა

«დროების» ფასი პირველი თებერვლიდან წლის დამლევამდე 8 განათი და 50 კაპ.

არწრენის თეატრი.
პირას, 5 თამარპალს
გამედი. 3 მ. კმ. თბზ. ბ. შიშკაშვილისა.
II
გ ა ი თ უ შ ი
კომედ. 2 მ. კმ. თბზ. ა. საგარელისა.
დასაწყისი 8 საათზედ. (2—2)
აზ. კოსტანტინე სულაძის-მე დადებული ამით განცხადებ, რომ ვსწერ უფლებ გვარ აზრებს და ვაწარმოებ უფლებ გვარ სისხლის სამართლის წესით საწარმოებულ საქმეებსა, აგრეთვე ზოგიერთა სამოქალაქო საქმეებსაც მომრავლებულ მოსამართლეებთან. დაბრინბთათვის უფასოთ. მუდმივ გამყოფობა ქ. დუშეთში, ჯ. გოგიუას სახლებში. (2—2)

კრება 5 თებერვლისა მ. გორში.
თბილისი, 5 თებერვალს.
დღეს თითქმის მთელი საქართველოდ ყურადღება პატარა ქალაქ გორისკენ არის მიქცეული. პირველად ამ მაზრის თავდაზნაურობამ გამოიჩინა შორს მხედველობა და ჩაჰყარა საძირკველი ჩენი საკუთარი საშუალო სასწავლებლისა და დღეს მასვე უნდა შეხედეს ამ ჩინებულ და სამაგალითო საქმის განხორციელება.
ძალად უღლის-ქვეშ კისრის დადება არაფის არ ეხალისება, და თუ ბორის მაზრის თავდაზნაურობა ასე მოიქცა, თუ ნება-ყოფლობით ხარჯი გაიწერა თავის შეილებს გამოსაზღვრად, იგი გრძობდა და გრძობს, რომ ასე მოქცევა იყო საქირო, სასარგებლო, აუცილებელი. იგი გრძობდა და გრძობს, რომ ეხლანდელს დროში სწავლა ბასრს ზმალზედ უფრო მჭრელია და ისეთის ძლიერებით არის შეჭურვილი, რომ მხოლოდ მისგან გაბედნიერებულს ერს ეკუთვნის.

ნის მოღვაწეობა კაცობრიობის ასპარეზზედ.
«ნუ ისწავლი შეილო და მელორედ დაგაყენებენო!» იტყოდნ ხოლმე ჩენი მამები. მსლა ამ მამების შეილნი კარგად ჰხედავენ, რომ უსწავლელად, კჭუა-გონების განუფითარებლად, ეხლანდელს დროში კაცი მელორობასაც კი ვერ მოახერხებს. ამ უბრალო ხელობაშიაც კი აღამიანს მოცილენი უზნდება, რომელთაც მეტი იცოან, უკეთესად არიან გამოცდილნი და თავიანთ მოპირდაპირებს ბოლოს უღებენ ამ ცოდნისა და გამოცდილების წყალობით.
დღეს გორის კრება მოისმენს თავის კომისიისაგან შედგენილ სიებს, თუ რომელს წევრს თავდაზნაურობისადა შეხვდა გადასახადი სასწავლებლის ფონდის შესადგენად, სრული იმედი გაქვს—და ექვის შეტანასაც კი ვერ ვაკადრებთ თავდაზნაურობას,—რომ თუმცა იგი ფრიად გაჭირვებულია, — მაინც სრულიად კმაყოფილებით იკისრებს ამ მძიმე ტვირთსა.
გორის თავდაზნაურობა არ დაიწყებს, რომ იგა ამ კეთილშობილის საქმის პირველი დამწყები და

მთელი საქართველოს თავდაზნაურობა მის მაგალითს წაჰბძავს. იგი არ დაიწყებს თავის მეტად დიდს პასუხის გებას შთამომავლობის წინაშე; არ დაიწყებს ამ თქმულსა:
«ისა სჯობს მამულისათვის, რომ შეილი სჯობდეს მამასა».
«ა რითი დამეჯობინებინა ბუნებით სუსტი შეილნი ვაქცა მამებს, თუ არ სწავლით, ცოდნით და გამოცდილებით?»
შინაური გონისა
გორისა ჩენი სამეურნო საზოგადოება არაყზედ ლაპარაკსაც. პარასკევს საღამოზედ სხდომა დაიწყო იმით, რომ ბ. ლამბაროვა წარმოსთქვა: ჩენ დაიწუნეთ ეხლანდელი სისტემა და ჩენი ვალი შევასრულეთო. ჩენი საქმე არ არის ახალი სისტემის მოგონება, ეს მთავრობას უნდა მივანდოთო; მაგრამ კრებამ ეს წინადადება არ მიიღო და ძველის დაწუნების შემდეგ, ახალი წესის შემუშავებას შეუდგა.
ჯერ გასინჯეს ესრედ წოდებული ავსტრიული სისტემა, რომელიც ეხ-

«დროების» ძეგლტონი, 5 თებერვ.
სვანეთის მთავარი
კოსტანტინე დადიშაძელიანი*)
1857 წ. 25 ოქტომბერს, ქ. მუთისი ადგილებული იყო შემდგის ამბით: სვანეთის მთავარი, თ. პოსტანტინე დადიშაძელიანი, მოჰკლა მუთისის გენერალ-გუბერნატორი თავადი ბაგარინი, მისი ჩინოფიკი ილინი და თარჯიმანი, პარუჩიკი პრდიშვილი.
მთელმა კავკასეთმა ყბა დააღო ამ ამბის შეტყობაზე. მით რუსეთშიც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან. მით მომატებულად, რომ არ გასულიყო ერთი კვირა, და თვით ამ მკვლელობის მიზეზს სასამართლომ თოფით დახვრეტა გადუწყვიტა და კიდევ სისრულეში მოიყვანა იგი.
თავადი პოსტანტინე დადიშაძელიანი დახვრეტეს თოფით და მისი მცირეწლოვანი შეილი გაგზავნეს სიმბირში.
დღეს საქართველოში თითქმის ყველამ იცის ეს გარემოება, მაგრამ იცის არა დაწერილებით, არამედ ისე ბინდად, ყრუდ.
ამიტომ არ იქნება მომეტებული, ეხლა მაინც გაიგოს საზოგადოებამ, როგორ მოხდა ეს ამბავი, რამ აძულა პოსტანტინე დადიშაძელიანი ასეთი საქმე ჩაეღინა, რა დანაშაული
*) ეს წერილი შედგენილია ბ. ა. შერბაძის მიერ და წარსულის მოგონებათაგან, რომელნიც იყვნენ დაბეჭდილნი გზ. კავკასიაში.

მიუტლვოდა მასთან თავად ბაგარინს და ან სხვებს.
* *
1832 წლის გასულს, თბილისში მოხდა საქართველოს მთავარმართებელთან, ბარონ როზენთან, სვანეთის მთავრის, ცოხს დადიშაძელიანის დედა, დედოფალი-ხანი, თავისი მცირეწლოვანი შეილით, ბეჭირ-ბეით, და ითხოვა, რათა სვანეთი მიეღო რუსეთს თავის მფლობელობაში. 1833 წ. ბარონ როზენმა გაისტუმრა დადიშაძელიანის დედა სვანეთში და თან გაატანა ცოხთან წერილი, სადაც ნაჩვენებია იყო, თუ რა პირობით უნდა გამხდარიყო იგი რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი. იმავე წერილში სთხოვდა, რომ ცოხს მიეცა ქვეშევრდომობის ფიცი, რომელიც უნდა აღესრულებინა ამისთვის გაგზავნილ ჩინოფიკთან თანადასწრებით. ცოხმა შეასრულა ყოველივე პირობანი, და ბარონ როზენმა, იმავე წლის ნოემბერს, შეატყობინა გარეშე საქმეთა მინისტრს, გრაფს ნესელორდეს, რომ სვანეთის მფლობელი, თავადი ცოხს დადიშაძელიანი, შეიქმნა რუსეთის ქვეშევრდომი და ამიტომ სთხოვდა ნესელორდეს, რათა იგი დაეხმაროს იმპერატორის წინაშე და გამოაგზავნინოს ამისთვის გრამოტა, ხმალი, ხანჯალი და, ნიშნად უმადლოესი მოწყალებისა, დადიშაძელიანს უზოდოს მაიორის ჩინი, აგრეთვე მისცეს ნება ეპოლეტების ხმარებისა.
ამ სახით, 1833 წ. სვანეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოსპობა. სვანეთი გარდაიქცა რუსეთის საკუთრებად.

1834 წ. ცოხმა განაცხადა სურვილი, რათა მიეღო ქრისტეს სარწმუნოება, რომელსაც ერთს დროს მისდევდნ მისი წინაპრნი. მთავრობას იამა ასეთი სურვილი. ცოხს უნდოდა, რომ მის ნათლიად ყოფილიყო იმპერატორი, ხოლო მისი მეუღლის ნათლიად — დედოფალი. 10 იელისს 1834 წ., ამისთვის გაგზავნილმა მღვდლებმა, მათი დიდებულობის სახელით, მოხათლეს: ცოხს დაარქვეს სახელიად—მიხილი, მის მეუღლეს, ჯერუმ-ხანს—მარამი. სვანებმა რომ ნახეს თავის მფლობელის მაგალითი, თითონაც მოიწადინეს გაქრისტიანება, და იმავე ხნებში, რამდენსამე დღეს, ორი-ათას კაცზე მეტი მოინათლა. ამის შემდეგ, ნელ-ნელა გაერცლდა მთელს სვანეთში ქრისტეს სარწმუნოება.
სვანები განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველ გვარი გადასახადიდან, და მათ შინაურ ცხოვრებას განაგებდნ უწინდებულად დადიშაძელიანები, მხოლოდ ცოტათი შეიწროვდა უკანასკნელთა უფლება, თანხმად რუსეთის სახელმწიფო კანონებისა.
* *
როდესაც ატყდა პირიმის ომი, მაშინ საბატონო სვანეთის გამგედ იყო თავადი პოსტანტინე დადიშაძელიანი, საყვანხო რაზმის ლეიბ-გვარდიის როტმისტრი, ძველებური კაცი, რომელსაც არ მიეღო არსად გარეშე განათლება და რუსულსაც მტრეფითა ლაპარაკობდა, მაგრამ იყო ვაქცა ცი და რბანისელი, კვიანი, წამოსადევი და თანაც გასაშტერებელი სილაპაზისა. აი, როგორა სწერს მას

ბ. შერბაძე, რომელიც მას კარგად, დაახლოებით იცნობდა:
«მითქო ეხლაც თვალ-წინ მიდგია და ვხედავ ამ მშენიერ ვაქცასა. წარმოიდგინეთ დევიეთ ზორბა აღამიანი, თითქმის ერთი საყენი სიმალისისა, ოქროს ხუჭუჭი თმიანი, ლურჯი თვლებით, თითქო მოწმენდილი ცა იყოსო, მხარ-ბეჭიანი, ტან-წერილი, მალხაზი და თანაც უშველებელი ღონის პატრონი... მისი შედილური სიარული... წარმოიდგინეთ იგი, ჩამჯდარი ისეთ იარაღში, რომელიც ცეცხლივითა ტრიალებს, თოვლზე უფრო თეთრი ჩერქესკა ტანზედ და ასეთივე თეთრი ფაფანი. შოველივე ამით ალტაცებაში მოდიოდა მისი მაყურებელი. მიეციო ჯერცვანი განათლება ამ ველური სვანეთის გამგეს და, ვინ იცის, იქნება როგორი შესანიშნავი მმართველი დამდგარიყო მშენიერი პოსტანტინე დადიშაძელიანი, რადგან იგი იყო ბუნებით დიდის ჭკვის პატრონი და თანაც მოხერხებული აღამიანი. მე თითონ ვიცნობდი—ამბობს ბ. შერბაძე—მრავალს ქალებს, რომელთაც სწორედ კჭუა ებნეოდათ იმისთვის; მაგრამ, როგორც ლეთის მოყვარე და შეუგინებელი ზნეობის პატრონი ვატი; პოსტანტინე დადიშაძელიანი ყურადღებასაც არ აქცევდა მათს წადილებს».
* *
პირიმის ომამდის, პოსტანტინე დადიშაძელიანი ხშირად ჩამოდიოდა მუთისში და თბილისშიც, სადაც დიდის სიყვარულითა და პატივისცემით გაუმასპინდელ ებოდნენ ხოლმე მას



ღებულებად მადლობა მუდამინდობით... და დაძინა რომ აქედან, სოფელი მა...

რუსეთს მართლ ის განზრახვა აქვს, რომ გაათლებს მოჭედილის თურქებების უდაბურს ადგილებში...

ტელეგრაფი

(წირობის სააგენტოსა.)

3 თებერვალს.

ამბარბურბი. ხარკოვის ოლქის ხაინტუნდარტარს, გენერალ-ლეიტენანტს ბუმენს, გადაყენებულს...

მშა. დღეს დეკუტატთა პალატაში მინისტრი—პრეზიდენტი ამართლებდა მმართველობის განკარგულებით...

პირი. ინგლისის ელჩის მოადგილე იტუობინება სუპიმიდგან, რომ ბრიტანიის ექსპედიციის ამბავი...

ამბარბურბი. იმის თაობაზედ, რომ მერვის ხალხნი რუსეთის ქვეშევრდომნი შეიქმნენ, «ტაიმა»-ში...

ლონდონი. მთავრობამ გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ სუდანში გორდონი უეჭველად...

«ნოვოე ვრემია» იუწყება, რომ ქარხნების და ჭაბრიკების მეპატრონენი იძულებულნი შეიქმნენ...

ლონდონი. გამოცხადებულია გორდონის პრექტი შესახებ სუდანის საქმეთა მოწყობისა. გორდონი...

პირი, ხედივის ბრძანებით სხელმწიფო რჩევა უქმდება.

3 თებერვალს.


მშა. დეკუტატთა პალატამ მოიწონა მთავრობის ორივე განკარგულება შესახებ...

პირი. მშვიდობიან ტომთა წარმომადგენლებმა გამოეცხადეს მხდის სარდალს...

ბელგრადი. სამინისტრო იცვლება.

განსვალეგანი

ინგლისური რკინის კარავოტაგი



ერთის საწოლი 7 მანუაიდგან და ორის საწოლი 14 მანუაიდგან, მათი ლეგები, ზღვის ბალახით გატენილი...

ძოლის დასავიდელები, სახლო მკარტლები, გაქსები, უოოები, წისკლები, სურსები...

ინგლისის პალატი

Table with columns for 'შეადრეთ ჩვენი ჩაი' and 'მოსკოვის ჩაი' with prices like 1 2. 10 კ. and 1 2. 40 კ.

იქვე ისეიდება სხვა საქონელიც: თაფლები, რეკოლეგები, კრაკოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები...

გინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს...

პ. რულუკიის სტამბა

ქეთაისში დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული «ქველის კალენდარი», სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები...

ბამოვიდა ინგლისის წიგნი კვადაგოვიზის შურნალის

„ნოვატი“-სა

შინაარსი. ურმათა საკითხავი წიგნი: I ჯერ შრომა, მერმე ხტომა (აზრი რუსულიდამ) ლექსი თ. რაფ. პრისტოვისა. II სახალწლო ფეშქაში—მკ. ბაზაშვილისა. III მოგონება—სურათები ყმაწვილების ცხოვრებიდამ—II შობა, III ახალ-წელიწადი—ი. რევიშვილისა. IV შაწვილი და პეველა, ლექსი—ბაკისა. V ზალი, ხალხური ლეგენდა—ბ. ხელისა. VI საბრალო ჩიტი (მოთხრობა)—ლილიპუტისა. VII ლომ-კცი, ზლაპარი, თავი VI—ბ. წერეთლისა. VIII შიქი პრწივისა, პროფეს. მ. ნ. ბოლდაროვისა (რუსულიდამ)—ნიოსი. IX ბეოგრაფი. წერილები; წერილი III—იმერეთი—მანანაძისა. X ბამოციანები—ბაკისა. XI რეზუსი—ბლ. მრეველიშვილისა. XII «ნანა», სიმღერა ნოტებით—კადაღებული რ. ძამსაშვილისაგან.

დამატება: XIII ბამაჩის აღზრდის საქიროება და სინდელი—წყალტუბელისა. XIV სამშობლო ენა—მალაროგლისა. XV წერა-კითხვის გაკვეთილები, გაკვეთილი I—ხეველისა. XVI ბანტხაღებანი. (3—3)